DAAD Deutscher Akademischer Austausch Dienst
German Academic Exchange Service

Open Society Georgia Foundation

DAAD სა და ღია საზოგადოების ინსტიტუტის ერთობლივი სამაგისტრო კურსი
Studienstipendien für Graduierte der Geistes-, Gesellschaft- und Sozialwissenschaften (DAAD/OSI)

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ:

პირებს, რომელთაც აქვთ ბაკალავრის, მაგისტრის ან 5-წლიანი სწავლების დიპლომი, ასევე ახალგაზრდა მეცნიერებათა კანდიდატებს, რომლებიც ასწავლიან უმაღლეს სასწავლებელში შემდეგი სპეციალობებს: **პოლიტოლოგია, სოციოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები, სამართალი, ეკონომიკა, სახელმწიფო მართვა, განათლების მართვა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ფილოსოფია.**

სტიპენდიის მიღების მომენტისთვის **(2011 წლის სექტემბერი)** კონკურსანტი ბოლო ერთი წლის განმავლობაში უნდა ცხოვრობდეს საქართველოში.

სამაგისტრო კურსებზე განაცხადების შემოტანა შესაძლებელია შემდეგ სპეციალობებზე:

- FH Fulda
  Intercultural Communication and European Studies (ICEUS)
  www.fh-fulda.de/iceus
- U Trier
  VWL-Masterstudiengänge
  www.uni-trier.de/index.php?id=18065
- U Konstanz
  Masterstudiengang Quantitative Economics
  www.uni-konstanz.de/studium/?cont=studienangebot&subcont=faecher&site=faz&id=2379
- KU Eichstätt-Ingolstadt
  Masterstudiengang Internationale Beziehungen (MIB)
  www.ku-eichstaett.de/Studieninteressenten/Studiengänge/international/mib.de
- U Bremen
  LL.M. Deutsches Recht
  www.jura.uni-bremen.de/typo3/cms405/index.php?id=263
- U Bremen
  Europäisches und Internationales Recht
  www.europarecht.uni-bremen.de/ebene2-1024.html
- Hertie School of Governance Berlin
  Master of Public Policy
  http://www.hertie-school.org/home.php?nav_id=364
- U Kassel
  Soziologie
  http://cms.uni-kassel.de/unicms/index.php?id=m_soziologie
- U Magdeburg
  Friedens- und Konfliktforschung
  http://www.fkf.ovgu.de/aktuelles.html
- U Magdeburg
  International Economics and Finance
  www.uni-magdeburg.de/isp/msc_economics.shtml
- U Marburg
  Friedens- und Konfliktforschung
  www.uni-marburg.de/studium/studienangebot/master/m-frukon
- U Jena
  Privates und öffentliches Wirtschaftsrecht
  http://www.rewi.uni-jena.de/Aufbaustudiengang.html
- Jacobs University Bremen
  International Relations. Global Governance and Social Theory
  www.ir-bremen.de

- U Marburg
  International Development Studies
  www.uni-marburg.de/studium/studgang/studienfaecher/neuestudiengaenge/interdevelopstudiesma
- U Kassel
  Global Political Economy
  www.uni-kassel.de/fb5/globalization/ma_gpe/index.html
- HU Berlin
  Economics and Management Science
  www.mastersprogram.de
- U Düsseldorf
  Sozialwissenschaften
  www.ba-sozialwissenschaften.uni-duesseldorf.de/masterinfo/index.html
- Jacobs University Bremen
  Modern Global History
  www.jacobs-university.de/mgh
- U Halle/ Wittenberg
  Gesundheits- und Pflegewissenschaft
  http://www.studienangebot.uni-halle.de/detail.www.de.xml?id=54&name=Gesundheits-%20und%20Pflegewissenschaften&
- U Bamberg
  European Economic Studies
  http://www.uni-bamberg.de/fakultaeten/sowi/fachgebiete/volkswirtschaftslehre/leistungen/studium/struktur_master
- U des Saarlandes
  Europäische Integration
  http://www.uni-saarland.de/de/campus/studium/studienangebot/az/europaeische-integration-aufbaustudiengang/kontakt.html
- U Regensburg
  Ost-West-Studien
  http://www.europaeum.de/index.php?id=9
- FU Berlin
  Geschichtswissenschaft mit dem Profilbereich Geschichte des 19./20. Jahrhunderts
  http://www.fu-berlin.de/studium/studienangebot/master/geschichte_19u20jahrhundert_profil/index.html

ზემოთ მითითებულ ინტერნეტ-მისამართებზე თქვენ შეგიძლით მოიპოვოთ ამომწურავი ინფორმაცია ცალკეული სამაგისტრო კურსის, მათი სასწავლო პროგრამის, აგრეთვე ენობრივი და პროფესიული მოთხოვნების შესახებ.

გთხოვთ ყურადღებით გაეცნოთ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას სამაგისტრო კურსის დაწყების, მისი ხანგრძლივობის, ჩარიცხვის, გადასახადებისა და ენის მოთხოვნების შესახებ და სწორად შეაფასოთ აკმაყოფილებთ თუ არა უნივერსიტეტის მოთხოვნებს.

კონკურსანტი სააპლიკაციო ფორმაში უთითებს მის მიერ ამორჩეულ სამ უნივერსიტეტს, რომელთაგან გამოყოფს პრიორიტეტულს. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ უნივერსიტეტში ადგილის სიმცირის გამო, სტიპენდიატს სრულიად სხვა უნივერსიტეტში მოუწიოს საბუთების გადაგზავნა.

გერმანული ენის არცოდნის შემთხვევაში ინგლისურენოვან სტიპენდიატებს DAAD უნიშნავს ენის კურსს, რომლის გავლაც სავალდებულოა.

იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი განაცხადს აკეთებს ინგლისურ ენაზე, მაგრამ იმავდროულად ფლობს გერმანულ ენას, მან საბუთებს უნდა დაურთოს გერმანული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი, მისი არქონის შემთხვევაში კი დაწეროს ენის ტესტი DAAD-ს თბილისის საინფორმაციო ცენტრში. ეს სერტიფიკატი ზეგავლენას არ იქონიებს საბუთების ბედზე,

მას DAAD იყენებს საორიენტაციოდ, რათა ზუსტად განსაზღვროს რამდენთვიანი ენის კურსი ესაჭიროება სტიპენდიატს.

იგივე ეხებათ **ინგლისურენოვან კანდიდატებსაც**, იმ განსხვავებით, რომ ენის ტესტის არ არსებობის შემთხვევაში მათ თვითონ უნდა იზრუნონ ენის სერტიფიკატის მოსაპოვებლად.

საჭირო საბუთები:

საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას ოთხ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი, სამი ასლი). მოწმობები ნოტარიუსის გარდა შეიძლება დამოწმდეს შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლის მიერ. ფორმულარი უნდა შეივსოს გერმანულ ან ინგლისურ ენაზე. თარგმანები შეიძლება შესრულებულ იქნას როგორც გერმანულ, ისე ინგლისურ ენაზე.

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება, რომ საბუთები ჩაბარებული უნდა იქნას ქვემოთ ჩამოთვლილი თანმიმდევრობის მიხედვით.

არასრული საბუთები კონკურსის მსვლელობისას გათვალისწინებული არ იქნება.

- ონლაინ სახის სააპლიკაციო ფორმულარი. კონკურსანტმა სრულყოფილად უნდა შეავსოს PDF-ფორმატში წარმოდგენილი ფორმულარი, ამობეჭდოს იგი და წარმოადგინოს სხვა საბუთებთან ერთად (დამატებითი ინფორმაცია ფორმულარის შევსებასთან დაკავშირებით გთხოვთ იხილოთ DAAD-ს ვებ-გვერდზე www.ic.daad.de/tbilissi)
- 4 ფოტოსურათი (გთხოვთ სურათი ჩააკრათ სააპლიკაციო ფორმაში მითითებულ ადგილას)
- ტაბელარული ავტობიოგრაფია (CV)
- მოტივაციის წერილი
- ინფორმაცია არჩეული სამაგისტრო კურსის შესახებ (გთხოვთ გამოიყენოთ ვებ-გვერდზე განთავსებული ფორმულარი www.ic.daad.de/tbilissi - სტიპენდიები).
- სამივე არჩეული სამაგისტრო კურსის სააპლიკაციო ფორმულარი შევსებული სახით.
- ორი ქართველი პროფესორის რეკომენდაცია (ივსება შესაბამისი ფორმულარი)
- დიპლომი (ბაკალავრი, მაგისტრი ან 5-წლიანი) ნიშნების ფურცელთან ერთად (მას შემდეგ რაც დოკუმენტი ითარგმნება გერმანულ/ინგლისურ ენაზე საჭიროა მისი ნოტარიუსის ან უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმება).
  ინგლისურ ენაზე გაცემული დოკუმენტები თარგმანს აღარ საჭიროებს.

  მე-4 კურსის სტუდენტები წარადგენენ ამონაწერს ნიშნების ფურცლიდან და ცნობას რომ იმყოფებიან დამამთავრებელ კურსზე.
- საშუალო სკოლის ატესტატი ნიშნების ფურცელთან ერთად (მას შემდეგ რაც დოკუმენტი ითარგმნება გერმანულ/ინგლისურ ენაზე საჭიროა მისი ნოტარიული დამოწმება).
- ენის სერტიფიკატი.
  გერმანული ენის შემთხვევაში: TestDaF, DSH, DSD, KDS, ZPM, ZOP მათთვის, ვისაც არ აქვს გერმანული ენის სერტიფიკატი, ნოემბრის თვეში გაიმართება ენის ტესტი. ენის ტესტზე რეგისტრაცია სავალდებულოა (www.ondaf.de). კონკურსანტებს ბათუმიდან და ქუთაისიდან საშუალება ეძლევათ გაიარონ ენის ტესტი ადგილზე.
  ინგლისური ენის შემთხვევაში: TOEFLS, IELTS, CFA, CAE, CPE
- კონკურსანტი ვალდებულია წარადგინოს ენის სერტიფიკატი არა უგვიანეს იანვრის თვისა (გასაუბრების პერიოდისთვის). თუკი უნივერსიტეტი მოითხოვს GMAT ან GRE ტესტს, კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ის გასაუბრების პერიოდისთვის ანუ იანვრის თვეში.
- პრაქტიკის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

DAAD Deutscher Akademischer Austausch Dienst
German Academic Exchange Service

Open Society Georgia Foundation

კონკურსის ყველა მონაწილე, რომელიც **2010 წლის 29 ოქტომბრამდე** ჩააბარებს სრულყოფილ საბუთებს, 2011 წლის იანვარში (პირველ ნახევარში) მოწვეულ იქნება გასაუბრებაზე.

შესარჩევი კომისია შედგება ორი გერმანელი პროფესორის, DAAD-სა და OSI-ს თითო წარმომადგენლისა და ქართველი პროფესორისგან. პროფესიული კვალიფიკაციისა და სწავლისადმი შესაბამისობის შეფასებისას გადამწყვეტია მხოლოდ გერმანელი პროფესორების ხმა.

საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას მოცემული თანმიმდევრობით !

არასრული საბუთები არ განიხილება !
დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ DAAD-ს ვებ-გვერდზე !

საბუთების მიღების ბოლო ვადა: 29 ოქტომბერი 2010 (18:00 სთ)

თბილისი, ზანდუკელის 16 / ტელ: 920-926 / მიღების საათები: 14.00-18.00 სთ.

www.ic.daad.de/tbilissi